

"24 საათის" ფიქიანი ნომერი

*2424

პრასომბადსენი

A3



წრა

კონფლიქტარი რაბიონიდან სახელმწიფოებრიობამდე

A4

ბაიხსნა!!!

A5



მაჰმად აბასის ვიზიტი რუსეთში

A7



24 საათი

"24 საათის"

ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



შინის სადაზღვევო ჯგუფი

პერევი

უცნაური შემოვლები

დავიდ ზ. სმიტი
სპეციალურად „24 საათისთვის“

რუსეთ-საქართველოს ომის ცხელი ფაზის დასრულებიდან ოთხი თვის შემდეგაც კი რუსეთი კვლავ აგრძელებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ევროკავშირის შუამავლობით მიღწეულ 12 აგვისტოს და 8 სექტემბრის შეთანხმებების დარღვევას. რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონების მიმდებარე ქართული ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანასა და 7 აგვისტომდე არსებულ პოზიციებზე დაბრუნებას დათანხმდა. მას ამ ორი პირობიდან არც ერთი არ შეუსრულებია. განსაკუთრებით უცნაურია პერევის ოკუპაცია, სოფლისა, რომელიც იმერეთში, სამხრეთ ოსეთის დასავლეთით საჩხერის რაიონში მდებარეობს.

9 ოქტომბერს რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი ირწმუნებოდა, რომ რუსეთმა "შეასრულა ყველა ვალდებულება", რომელსაც საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზისთან ერთად ხელმოწერილი შეთანხმებები ითვალისწინებდა. თუმცა, რო-



დესაც მტვერი გაიფანტა, აღმოჩნდა, რომ რუსეთის ჯარი, რომელიც რაოდენობრივად ბევრად აღემატებოდა 7 აგვისტომდე არ-

სებულ სამშვიდობო კონტინგენტს, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში დარჩა, მათ შორის, იქამდე საქართველოს მიერ კონტროლი-

რებად, კოდორის ხეობის სახელით ცნობილ ზემო აფხაზეთში.

ბაზრქილაბა A2 გვერდზე

აშშ-საქართველოს სტატეგიული პარტნიორობა - სიგნალი მოსკოვისათვის

თბილისში აცხადებენ, რომ აშშ-საქართველოს ჩარჩო-ხელშეკრულებას ხელი უახლოეს დღეებში მოეწერება, თუმცა ახალი დოკუმენტის დეტალები ჯერ უცნობი რჩება. უკრაინასთან სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქართია აშშ-მ უკვე გასულ პარასკევს გააფორმა. დოკუმენტი, პირველ რიგში, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობას, მათ შორის, უკრაინისთვის ამერიკული სამხედრო ტექნიკის გადაცემას ითვალისწინებს. „ეს არის სიგნალი მოსკოვისათვის,“ - აცხადებენ ვაშინგტონში. თბილისში იმედი აქვთ, რომ ანალოგიურ სიგნალს ამერიკა რუსეთს მალე საქართველოსთან დაკავშირებითაც გაუგზავნის.

დმიტრი ავალიანი
ბიორგი ასანიშვილი

ამერიკა-საქართველოს შორის ჩარჩო-ხელშეკრულების სამუშაო ვარიანტი უკვე საქართველოშია, - განაცხადა გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ.

„ეს არის შეთანხმება უსაფრთხოების, ეკონომიკის, ჰუმანიტარულ და დემოკრატიის განვითარების სფეროებში. რამდენიმე დამატება და შესწორება შევთავაზეთ ამერიკულ მხარეს. ორშაბათს იქნება შესწორებული ვარიანტი და ალბათ უკვე წლის

ბოლომდე ხელშეკრულებას ხელი მოეწერება,“ - განაცხადა საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

ამერიკასა და საქართველოს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას ოფიციალური თბილისი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ვინაიდან მასში ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცების გარანტიებს ხედავს. ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილის თქმით, ეს არის განაცხადი რუსეთის მიმართ, რომ მის მეგობარ ქვეყანას თავი დაანებოს.

ბაზრქილაბა A2 გვერდზე

"როიალის პრინცი"

მუხანა მახარაძე

მის კონცერტებზე მუსიკალური ელიტა ქედს უხრის იშვიათი საშემსრულებლო ხელნერის ხელოვანს...

20 დეკემბრის საღამოს, კონსერვატორიის დიდ დარბაზში "როიალის პრინცი" იყო "საახალწლო მუსიკალური შეხვედრების" სტუმარი... ალექსანდრე კორსანტიას ის ვარსკვლავია, ვის მონატრებასაც ყველაზე მეტად მის სამშობლოში გრძნობს მსმენელი... მაინც სულ სხვაა, როცა საშა კორსანტიას ფენომენალური შესრულება ქართული სცენიდან გესმის, სხვანაირად აღიქვამ მის ხელოვნებას და, გიჩნდება სურვილი ამ გრანდზე მეტი შეიტყო, გაიგო ისეთი რამ, რაც პიანისტის მიერ სცენაზე ნამოქმედარის მიღმა დარჩენილი...

ამ კონცერტზე ორიგინალური ინტერპრეტაციით შესრულდა რაველის ვალსი. ეს საორკესტრო ოპუსი, რომელიც ავტორისავე რედაქციით არის გადაკეთებული ორი როიალისთვის, "როიალის პრინცმა" ქეთევან ბადრიძესთან ერთად დაუკრა, ანუ საშას პალიტრა შესრულების ქალურ ხელნერასთან გახდა თანაზიარი... ყვე-

ლამ იცის, რომ კორსანტია ბუნებით მაძიებელი მუსიკოსია, რომელიც მსმენელს საფორტეპიანო ლიტერატურიდან ყოველთვის ახალ, უცნობ, ან არაორდინალური ვერსიით შესრულებულ შედეგებს სთავაზობს. კრიტიკოსების აზრით, კორსანტიას ფენომენს ხიბლს მატებს არაჩვეულებრივი ბუნებრიობა და გულწრფელობა, რასაც ის ცხოვრებისა და ხელოვნების ურთიერთობიდან ღებულა... ისმის რაველი და... პიანისტებმა შესრულების დროს როიალიდან როიალამდე უცბად გაცვალეს ადგილები. რა ხდება? ეს იყო მოულოდნელი ეფექტი? ალბათ უფრო თეატრალიზირებული დეტალი, რომელიც პირველი განყოფილების სახალისო აქსესუარად შეიძლება გავიაზროთ, თუმცა იქვე თქვეს, რომ "ეს არტისტული პასაჟი რეპეტიციებზე საშას მოფიქრებულია..."

მოცარტი რე მაჟორული სონატა ორი როიალისთვის... სცენაზე საშა კორსანტია და ქეთევან ბადრიძე. "ხედავ" მუსიკალური ბგერების ფერწერას, სადაც მთავარ როლს არა ტონალური ფერი და პალიტრა, არამედ ბგერის კრისტალური აღქმა თამაშობს.

ბაზრქილაბა A11 გვერდზე

აიციტეთ ეურსის ცვატებადობის რისკი!



გახსენით
ეკონომიკური რეაქცია უნებარე
ბანკ "რესპუბლიკაში"!



ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსოხაძე ჯანაშია

თქვენი ანაბრის ვალუტის ურსი ეცემა?

უონვერტირებადი ანაბარი გაძლევთ საშუალებას, გადაიტანოთ თქვენი დანაზოგი სხვა ვალუტაში და თანაც შეინარჩუნოთ ანაბარზე დაგროვილი სარგებელი.

თუ გახსნილი გაქვთ უონვერტირებადი ანაბარი ბანკ “რესპუბლიკაში”:

- ანაბარზე განთავსებულ თანხას გაანაღდებთ ნებისმიერი ვალუტით
- მიიღებთ მაღალ სარგებელს – **14%-მდე**
- ხართ მსოფლიო საბანკო ჯგუფ “სოსიეტე ჟენერალის” პატივცემული მენაბრე

უონვერტირებადი ანაბრის გასახსნელად ეწვიეთ ჩვენს ნებისმიერ ფილიალს:

თბილისის ფილიალების ქსელი

სათავო ოფისი	გრ. აბაშიძის ქ. 2	925555
ცენტრალური ფილიალი	გრ. აბაშიძის ქ. 2	925555
დელისის ფილიალი	აღ. ყაზბეგის გამზ. 47	312161
სადგურის ფილიალი	რუინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია	910600
დიდუბის ფილიალი	ნურეთლის გამზ. 10	345556
პეკინის ფილიალი	პეკინის გამზ. 28	433355
გლდანის ფილიალი	ხიზანიშვილის ქ. 20	590550
ისნის ფილიალი	ნავთლელის ქ. 6/2	243737
ფალიაშვილის ფილიალი	ფალიაშვილის ქ. 33ა	912237
ჭავჭავაძის 24 საათიანი ფილიალი	ჭავჭავაძის გამზ. 13	925555
ალმაშენებლის ფილიალი	ალმაშენებლის გამზ. 112	243585
ვაჟა - ფშაველას ფილიალი	ვაჟა - ფშაველას გამზ. 71	244114
დიღმის ფილიალი	დიღმის მასივი, I კვარტალი, I ბ კორპუსი	518515
სანზონის ფილიალი	გურამიშვილის გამზ. 34	653515

რეგიონების ფილიალების ქსელი

ქუთაისის ფილიალი	გრინაშვილის ქ. 6	8(231) 58888
ბათუმის ფილიალი	ქუთაისის ქ. 6	(888 222) 32810
ბათუმის 24 საათიანი ფილიალი	გოგებაშვილის ქ.24	(888 222) 759 26
სამტრედიის ფილიალი	რაზმაძის ქ. 2	8(211) 21353
ზუგდიდის ფილიალი	ზვ. გამსახურდიას გამზ. 34	8(215) 50008
რუსთავის ფილიალი	მეგობრობის გამზ. 20	8(24) 12 55 55
ფოთის ფილიალი	ალმაშენებლის ქ. 50	8(293) 7 00 87
თელავის ფილიალი	მარჯანიშვილის ქ. 4	8(250) 70040
სიღნაღის ფილიალი	თამარ მეფის ქ. 1	8(255) 31037

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით 24 საათის განმავლობაში:

(8 22) 92 55 55

www.republic.ge



ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი



საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის მოპოვების
მსურველთა სერტიფიცირების შედეგები

პირთა სია, რომლებმაც მოიპოვეს სერტიფიკატი (რეგისტრაციის დროს მინიჭებული კოდების მიხედვით)

Table with 12 columns of identification codes and names, listing individuals who passed the certification exam for the National Agency for Public Administration Reform.

პირთა სია, რომლებმაც ვერ მოიპოვეს სერტიფიკატი (რეგისტრაციის დროს მინიჭებული კოდების მიხედვით)

Table with 12 columns of identification codes and names, listing individuals who did not pass the certification exam.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ტ ე ნ დ ე რ ი ს ჩ ა ტ ა რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

1. შ.პ.ს. ქ. ბათუმის N1 საავადმყოფო (ქ. ბათუმი, ლ.ასათიანის N37) აცხადებს ტენდერს (ექვეს ლოტად) საავადმყოფოს მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის და ინვესტორს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესასყიდი ობიექტი.

I ლოტი.
რენტგენოლოგიური მასალები.

II ლოტი
შჯ,აკერავი მასალები.

III ლოტი
შესახვევი და დამხმარე მასალები.

IV ლოტი
სხვა და სხვა მედიკამენტები.

V ლოტი
საინფუზიო და A სადეზინფექციო ხსნარები.

VI ლოტი
ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალებები.

საქონლის მიწოდების პირობები:

საქონლის მიწოდება განხორციელდება ყოველთვიურად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე 2009 წლის 31 დეკემბრამდე.

3. მიწოდების ადგილი, ქ. ბათუმი, ლ.ასათიანის N 37. შ.პ.ს. N1 საავადმყოფო.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 9 იანვრიდან 10 საათიდან 14 საათამდე: შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლ.ასათიანის N37. შ.პ.ს. ქ.ბათუმის N1 საავადმყოფო. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება ზემოთ აღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 9 იანვარს 14 საათზე.

(ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწონ სატენდერო წინადადების გახსნას).

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირებისათვის.

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები).

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამსახურიდან).

დ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია. ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საგადასახადო ინსპექციიდან.

5.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ სასამართლოს მიერ მას მოლიანად ან ნაწილობრივ არაქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა

5.3. როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვის:

ა) ლიცენზია სატენდერო წინადადებაში მითითებული მედიკამენტების რეალიზაციაზე (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში).

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, სანაციის საქმე.

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არ ქონის შესახებ.

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი ორი ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირებს უფლება აქვთ მიიღონ ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, თუ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

9. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლება 2008 წლის 22 დეკემბრიდან 2009 წლის 8 იანვრამდე 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ. (მიმღები ბანკი: სს „კორ სტანდარტ ბანკი“ ა/ნ 466924, ბ/კ 220101945, ს/კ 245426418 დასახელება; შპს ქ. ბათუმის N1 საავადმყოფო)

10. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადება გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და დაუბრუნდება უკან პრეტენდენტებს.

11. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ თოთოეული ლოტის მიხედვით მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება. ტენდერის შედეგად თითოეულ ლოტზე შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

12. ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტიების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით, კანონის შესაბამისად (საჭიროების შემთხვევაში).

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან-სოფო ხაფავა ტელ: 7-09-93, მაია ჟღენტი ტელ: 3-14-81. შ.პ.ს. ქ. ბათუმის N1 საავადმყოფო, ლ.ასათიანის N37.

სატენდერო კომისია

სს კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ კუთვნილი ქონების რეალიზაციის მიზნით, გაკოტრების მმართველის მიერ გამოცხადებულ მესამე აუქციონში, რომელიც ჩატარდა ქ. თელავში, აჩინებულის ქ.1, 2008 წლის 18 დეკემბერს გაიმარჯვა დახურულმა სააქციო საზოგადოება კონცერნი გრუპა ახემა“-მ, იურიდიული მისამართი: ლიტვა, იონოლაუკიო, რუკლოს სენიუნია, იონავის რ-ნის თვითმმართველობა. შემოთავაზებული 9 150 000 (ცხრა მილიონ ას ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარით, რაზედაც შედგა აუქციონის შედეგების ოქმი


დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თვალის დაავადებათა კვლევის და მკურნალობის მიმართულებით

გთავაზობთ:

- თვალის სრული გამოკვლევა
- თვალის ვირუსული, ბაქტერიული, რევმატიული თანამედროვე მეთოდით მკურნალობა (კერატიტი, ირიდოციკლიტი, უვეიტი, ქოროიდეტიტი)
- ნყულლოვანი ბლეფარიტები, დემოდეკოზი, დაქროციტიტი
- გლაუკომა - სანჯის სტადიაში გამოვლენა, მკურნალობა, მეთვალყურეობა
- შაქრიანი დიაბეტით დაზიანებული თვალის მკურნალობა - მეთვალყურეობა
- ბავშვთა მხედველობის დაცვა (სათვალის დადგენა, სიელმის მკურნალობა, თვალის გაზარმაცება, მიოპია)
- გერიატრიულ (ასაკობრივ) დაავადებათა მეთვალყურეობა და მკურნალობა
- თვალის დისტროფიული დაავადებების თანამედროვე მეთოდებით მკურნალობა

პაციენტების მიღებას აწარმოებს
ოფთალმოლოგიაში დიდი გამოცდილების მქონე
უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი ზურაბ მაისურაძე

მის: თბილისი, ვაკე, თენგიზ აბულაძის 20.
დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
ტელ.: 91 31 19; 91 32 42. მობ.: (899) 103282



HIDROMEK
www.hidromek.com
AS TECHNIC LTD. 97.D. AGMASHENEBELI, Tbilisi, GEORGIA
Phone:+ 995 32 452312 Fax:+ 995 77451815

ფრონტალური-ღამბვირთვალი: 456 HT

ტექნიკის ტიპი: ფრონტალური-ღამბვირთვალი
მწარმოებელი: JCB (დღი ბრიტანეთი)
მოდელი: 456 HT
ძრავის სიმძლავრე: 216 სხ.ძ.
საქსალუბრის მასა: 22,79 ტ.
სიხის ტიპი: 3,5 მ³
ტვირთვალი: 11 757 კგ.
მიწის დასაფარავი: 1 ღმ
ბარანტი: 1 წელი, საშუალო
საათების შეუზღუდავად.



**მიწოდების ვადა
1 დღე**

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მ-12 კმ. E-mail: jcb@tegetamotors.ge
☎ 244-744, ☎ 895 300-711, ☎ 244-744 (1219) www.tegetamotors.ge

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს 2009 წელს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დასაფინანსებლად.

გამარჯვებული პროექტი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით. მოპოვებული თანხით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფილმის დასრულება 2009 წლის დეკემბრამდე. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს იმ პროექტს, რომელსაც გავლილი აქვს მოსამზადებელი და გადაღების პერიოდი. კონკურსში მონაწილეობის უფლება არა აქვთ პროექტებს, რომელთაც მოპოვებული აქვთ ეროვნული კინოცენტრის დაფინანსება ფილმის წარმოებისთვის. პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2009 წლის 16 იანვარი, 17:00 სთ. კონკურსების პირობების გაცნობა შესაძლებელია ეროვნულ კინოცენტრში ან ეროვნული კინოცენტრის ვებ-გვერდზე. კონსულტაციები ჩატარდება ყოველ სამშაბათს, 12 საათზე. საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი 0112 თბილისი, დ. აღმშენებლის N164. ტელ/ფაქსი: 34.28.97. 34.29.75. E-mail: office@filmcenter.ge www.filmcenter.ge

ინდოეთის საელჩო ერევანი, სასომხეთის რესპუბლიკა სწავლება ინდოეთში

ინდოეთის საელჩო სიმოვნებით გაცნობებთ, რომ ინდოეთის მთავრობის კულტურული ურთიერთობების საბჭო (ICCR) სთავაზობს სტუდენტებს და ასპირანტებს სასწავლო პროგრამას ხელოვნების, საინჟინრო, ინდური კლასიკური ცეკვის და მუსიკის დარგებში საერთო კულტურული სასწავლო პროგრამის ფარგლებში. აუცილებელია ინგლისური ენის ცოდნა. შერჩეულ კანდიდატებს მიეცემათ ყოველთვიური სტიპენდია, თანხა წიგნების შესაძენად, უზრუნველყოფილი იქნებიან საცხოვრებელით და აუნაზღაურდებათ კვების და სასწავლო წიგნების ხარჯები. მგზავრობის ხარჯები დაფარული უნდა იქნას კანდიდატების მიერ.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა მიმართონ ინდოეთის საელჩოს სამუშაო დღეებში დილის 09:00 საათიდან 17:30 საათამდე. საბუთების მიღების უკანასკნელი ვადა არის 2009 წლის 5 თებერვალი.

საკონტაქტო მისამართი:
ინდოეთის საელჩო
(ბ-ნი ჰარვინდერ სინგი, ატაშე)
ძორაპის ქუჩა 50/2, ერევანი, სასომხეთი, 375019
ტელ: 374 10 539173, 539174, 539175
ელ-ფოსტა: commercial@embassyofindia.am
ვებგვერდი: www.indianembassy.am

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

2010 წელს საღებუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის

წარმოების დასაფინანსებლად.

გამარჯვებული პროექტი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით. კონკურსის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 400 000 ლარს.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ კინოსარეჟისორო ფაკულტეტების კურსდამთავრებულ, დებიუტანტ რეჟისორებს. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია წინასწარი რეგისტრაციის გავლა ეროვნული კინოცენტრის ოფისში 2009 წლის 2 თებერვლამდე. რეგისტრირებული პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2009 წლის 16 თებერვალი, 17:00 სთ. პროექტი უნდა განხორციელდეს 2010 წლის 20 დეკემბრამდე. კონკურსების პირობების გაცნობა შესაძლებელია ეროვნულ კინოცენტრში ან ეროვნული კინოცენტრის ვებ-გვერდზე. კონსულტაციები ჩატარდება ყოველ სამშაბათს, 12 საათზე.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი 0112 თბილისი, დ. აღმშენებლის N164. ტელ/ფაქსი: 34.28.97. 34.29.75. E-mail: office@filmcenter.ge www.filmcenter.ge

10%-იანი ფასდაკლება 1 თებერვლამდე HYUNDAI I-30 და VERACRUZ-ზე



ბიზნესი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"
☎ (995 32) 20-24-24
899 26-20-19

გაომცემის ოფიციალური პარტნიორები:




**თქვენს კითხვას
პასუხობენ ბანკირები**

**თიბისი ბანკი
TBC BANK**
ჩვენ ვაძლევთ უკეთესს

გამოგზავნეთ შეკითხვები ელ-ფოსტით, მისამართზე ngotsadze@tbcbank.com.ge, ან დარეკეთ ტელეფონის ნომერზე 27 27 27 და ყოველ სამშაბათს, რუბრიკაში "თქვენს კითხვებს პასუხობენ ბანკირები", მიიღეთ პასუხები "თიბისი ბანკის" ექსპერტებისგან.

ფულადი გზავნილების დინამიკა, 2005-2008



მანანა ვარდიანვილი

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით ბოლო სამი თვის განმავლობაში უცხოეთიდან ფულადი გზავნილების ზრდის ტენდენცია მცირე ტემპებით, მაგრამ მაინც აღდგა. ნოემბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობამ 91.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის ნოემბრის მაჩვენებელს 6.7 პროცენტით აღემატება.

ომამდელ დინამიკას უბრუნდება რუსეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობაც (გრ. 1).

უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 92.4 პროცენტი რვა უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის. ამ ქვეყნებიდან გზავნილების მოცულობა 1 მლნ აშშ დოლარს აჭარბებს (ცხრ. 1).

გასული წლის ნოემბერში ამ ქვეყნებზე მთელი ფულადი გზავნილების 91.3 პროცენტი მოდიოდა (ცხრ. 2).

ნოემბერში საქართველოდან საზღვარგარეთ 6.2 მლნ აშშ დოლარი, ანუ 2007 წლის ნოემბერთან შედარებით 2-ჯერ ნაკლები თანხა გაიგზავნა. მნიშვნელოვ-

ნად შემცირდა საქართველოდან რუსეთისა და უკრაინის მიმართულებით განხორციელებული ფულადი გზავნილების მოცულობაც. ამ გზავნილებების ოდენ-

ობამ, შესაბამისად, 3.8 მლნ აშშ დოლარით (58.9 პროცენტი) და 1.2 მლნ აშშ დოლარით (56.6 პროცენტი) მოიკლო.

გაგრძელება B2 გვერდზე


საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით ბოლო სამი თვის განმავლობაში უცხოეთიდან ფულადი გზავნილების ზრდის ტენდენცია მცირე ტემპებით, მაგრამ მაინც აღდგა.



B3

ფულადი გზავნილების დინამიკა, 2005-2008

წილი	საქართველო	კურსი	1000	კურსი	
1	USD	1,6540	1000	0,7757	
1	AUD	1,1339	1	1,0761	
1	AZN	2,0431	1	0,2845	
1	AED	0,4492	1	0,2995	
1000	BYR	0,7757	1	2,1178	
1	BGL	1,0761	10	1,3540	
1	DKK	0,2845	1000	TMM	
1	EGP	0,2995	0,1161		
1	EUR	2,1178	1	1,0855	
10	EEK	1,3540	10	0,1666	
1000	TMM		1	2,5950	
0,1161	TRY	1,0855	1	0,0348	
1	JPY	0,1666	1000	0,1646	
10	GBP	2,5950	10	ISK	
1	INR	0,0348	0,1274		
1000	IRR	0,1646	1	ILS	
10	ISK		0,4354		
0,1274	ILS		1	CAD	1,4077
0,4354			1	LVL	2,9891
1	CAD	1,4077	10	LTL	6,1064
1	LVL	2,9891	10	MDL	1,5920
10	LTL	6,1064	1	NOK	0,2430
10	MDL	1,5920	1	PLZ	0,5828
1	NOK	0,2430	1	RON	0,5654
1	PLZ	0,5828	1	RUB	0,0612
1	RON	0,5654	1	SGD	1,1079
1	RUB	0,0612	100	AMD	0,5420
1	SGD	1,1079	1	TJR	0,4851
100	AMD	0,5420	1000	UZS	1,2220
1	TJR	0,4851	10	UAG	
1000	UZS	1,2220	2,8456		
10	UAG		100	HUF	0,7933
2,8456			1	KWD	
100	HUF	0,7933	6,1145		
1	KWD		10	KZT	0,1376
6,1145			10	KGS	0,4235
10	KZT	0,1376			
10	KGS	0,4235			



მუხრან მარგველაშვილი „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“

გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე, აგვისტოს მოვლენების შედეგები საქართველოსთვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს, რაც მის ენერგოუსაფრთხოებაზეც პირდაპირ აისახება. ამ პირობებში აუცილებელი ხდება ქვეყნის ენერგეტიკული უზრუნველყოფის ძველი მიდგომების გადახედვა და არსებული შიგა თუ გარე რესურსების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენებაზე ზრუნვა.

გაგრძელება B4 გვერდზე



რუსეთში უმუშევართა რაოდენობა 70 000 კაცით გაიზარდა

რუსეთში უმუშევართა რაოდენობა 10 დეკემბრიდან 16 დეკემბრამდე პერიოდში 70 000 კაცით გაიზარდა. "რია ნოვოსტის" ინფორმაციით, ამის შესახებ, ვიცე-პრემიერმა ალექსანდრ შუკოვმა განაცხადა. 16 დეკემბრის ოფიციალური მონაცემებით, რუსეთში დარეგისტრირებულ უმუშევართა რაოდენობამ 1 მლნ 395 ათასი კაცი შეადგინა. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის მიხედვით, რომელიც ითვლის ასევე დაურეგისტრირებელ უმუშევართა რაოდენობას, სამსახურის გარეშე დარჩენილთა რაოდენობამ 4,6 მლნ კაცი შეადგინა. ამასთან, ვარაუდობენ, რომ 2009 წელს ეს მაჩვენებელი 5,6 მლნ კაცამდე გაიზარდება. სახელმწიფო დუმამ 19 დეკემბერს შრომის ბაზრის მხარდამჭერი კანონპროექტი მიიღო. ახალი კანონის მიხედვით უმუშევრები სამსახურიდან გათავისუფლებიდან 12 თვის განმავლობაში შემწეობის სახით 4 900 რუბლს მიიღებენ.

არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან საქართველოში ყველაზე დიდი ოდენობის ინვესტიციები განხორციელდა

არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან მიმდინარე წელს საქართველოში ყველაზე დიდი ოდენობის ინვესტიციები განხორციელდა. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 9 თვის განმავლობაში ამ ქვეყნიდან განხორციელებული ინვესტიციების მოცულობამ 221 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. კერძოდ, პირველ კვარტალში ინვესტიციების ოდენობა 78,638 მლნ დოლარი იყო, მეორეში - 124,124 მლნ დოლარი, ხოლო მესამეში - 18,273 მლნ დოლარი. ინვესტიციების სიაში მეორე ადგილზეა ნიდერლანდები 188,788 მლნ აშშ დოლარით. ამ ქვეყნიდანაც ყველაზე დიდი ოდენობის ინვესტიციები (135,078 მლნ) მეორე კვარტალში განხორციელდა.

თურქეთიდან ინვესტიციების მოცულობამ 9 თვეში 175,751 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედარებისთვის, გასული წლის განმავლობაში თურქეთიდან საქართველოს ეკონომიკაში სულ 93,871 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია ჩაიდო. გაერთიანებული სამეფოდან განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა იანვარ-სექტემბერში 96,81 მლნ დოლარს შეადგენს, აშშ-დან - 86,3 მლნ დოლარს, შვეიცარიიდან - 79,2 მლნ დოლარს.

კრიზისის დასაძლევად იაპონია დამატებით 54 მლრდ დოლარის გამოყოფას გეგმავს

ეკონომიკური მდგომარეობის დარღვევებისთვის იაპონია დამატებით 54 მილიარდი დოლარის გამოყოფას გეგმავს. ბი-ბი-სის ცნობით, იაპონიის მთავრობამ უკვე დაამტკიცა ეკონომიკის სტაბილიზაციის ახალი ზომების პაკეტი. გამოყოფილი სახსრები მოხმარდება მცირე ბიზნესისათვის სესხების გაცემას და კომპენსაციას უმუშევრად დარჩენილებისთვის.

ხელისუფლება აცხადებს, რომ ეკონომიკის განვითარების ტემპი, შესაძლოა ნულამდე დაეცეს და ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეს პერიოდი 2010 წლამდე დასრულდეს. მეორე მსოფლიო ომის დროიდან იაპონიაში ყველაზე სერიოზული ეკონომიკური ზრდა 2001 წლიდან იყო.

ხვალ ბათუმში აუქციონზე ექვს ობიექტს გაიტანენ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკურ სამინისტროში ხვალისთვის დაგეგმილ აუქციონზე რვა ობიექტს გაიტანენ. რვავე ობიექტი ბათუმში მდებარეობს. აქედან შვიდი ობიექტი არასაცხოვრებელი ფართია, ერთი კი შპს "ბათუმყოფსერვისის" სანესდებო კაპიტალიდან გამოტანილი გამქირავებელი პუნქტის შენობაა. ყველაზე ძვირად არის შეფასებული ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩა №48-ში მდებარე შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთი. ობიექტის სანყისი გასაყიდი ფასია 700 000 ლარი.

ძვირადღირებულ ობიექტებს შორის არის ბათუმში, მთის ძირის ქუჩა №130-132-ში მდებარე შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთი.

ÖYáİ ÄÈÉÃÀÍ ×ÖÈ ÀÃÉ ÂÆÀÁÍÉÈ ÄÁÉÓ İ ÃÄÍİ ÁÀ ÉÆÒÃÄÄÄ

პირველი გვარდინა

მიმდინარე წლის ნოემბერში უცხოეთიდან ფულის გადმოგზავნისას სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემებს შორის ლიდერობდნენ: Western Union-ი - 19.2 პროცენტით, Contact-ი - 28.0 პროცენტით, Anelik-ი - 14.4 პროცენტით, Unistream-ი - 13.0 პროცენტით, ოქსი - 5.5 პროცენტით, Money Gram-ი - 5.3 პროცენტით და Intel Express-ი - 4.7 პროცენტით.

საქართველოდან ფულადი გზავნილების განხორციელებისას პოპულარობით სარგებლობდნენ: Western Union-ი - 48.6 პროცენტით, Anelik-ი - 17.3 პროცენტით, ოქსი - 10.8 პროცენტით, Intel Express-ი - 7.1 procentiT, Unistream-ი - 6.4 procentiT.

Table with 11 columns (months from 01.2008 to 11.2008) and 2 rows of data: 'ფულადი გზავნილები, მლნ აშშ დოლარი' and 'მათ შორის, რუსეთიდან'.

Table with 4 columns: 'ფულადი გზავნილების მოცულობა', 'ხვედრითი წილი ფულადი გზავნილების მთლიან მოცულობაში, %', and two sub-columns for 2007 წ. and 2008 წ. ნოემბერი. Rows include 'სულ', 'რუსეთი', 'უკრაინა', 'აშშ', 'საბერძნეთი', 'იტალია', 'თურქეთი', 'ესპანეთი', 'სომხეთი'.



ხელით ნაქსოვი ტრადიციული ქართული ხალიჩა და ფარდაგი ხელით დამზადებული სუვენირები ტრადიციული ორნამენტებით

„ქართული ხალხური კულტურის აღორძინებისა და განვითარების საერთაშორისო ცენტრი მთიები“ აწარმოებს მსოფლიოში უანაღვრო პროდუქციას - ხელით ნაქსოვ ტრადიციულ ქართულ ხალიჩასა და ფარდაგს.

ისინი მცენარეული და მინერალური საღებავებით ნაფერი საუკეთესო ჯიშის ცხვრის მატყლისაგან დამზადებული შალის ძაფით იქსოვება.

ეროვნულ კომპონენტებთან და კოლორიტულ სტილთან ზომიერად შერწყმული თანამედროვე დიზაინი ქართულ ხალიჩასა და ფარდაგს მეტ ორიგინალობას სძენს და ამშვენებს.

აირჩიეთ დიზაინი, ორნამენტები, სიუჟეტური კომპოზიციები, ზომა და მიიღეთ შეუფასებელი პროდუქცია: ხალიჩა ფარდაგი და უამრავი ხელით ნაქარგი სუვენირი



თქვენ ხლებით ქართული ხალხური კულტურის აღორძინების თანამონაწილე

ლუბთი, ბასიკის ქ. №6 ტელ.: (995 32) 66 21 00, (995 32) 66 21 02

ÛÄÖÓÀÁÀÌÌ Ì ÁÉÓ
ÂÀÌÌ Ì ÝÀÍÀ



რეკავს სავაჭროვნილი

საქართველოში ბანკებისა და სამრეწველო კომპანიების ურთიერთობებში ყველა ნიშანი მიუთითებს, რომ არსებობს სერიოზული ინსტიტუციური შეუსაბამობა ბანკებსა და სამრეწველო კომპანიებს შორის ერთმანეთის მოლოდინების დაკმაყოფილების თვალსაზრისით. ეს შეუსაბამობა თვალსაჩინოდ ჩანს მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმართვის 2008 წლის ანგარიშში: საქართველოს რეიტინგი, რომელიც ზოგადად ძალიან კარგია, საშუალო კრედიტის მიღების (48-ე პოზიცია) და კონტრაქტების შესრულების (42) ნიშნით, უკიდურესად დაბალია, მაგალითად, იმავე ბიზნესის დახურვის ნიშნით (105).

იმის გამო, რომ აწყდებიან შეფერხებებს და საკმაოდ მაღალ ხარჯებს თავიანთი უფლებების განხორციელებაში და გირაოს გამოყენებაში, ბანკები ერიდებიან სამრეწველო კომპანიებისთვის სესხის მიცემას, რადგან იციან, რომ მათი საბუღალტრო აღრიცხვა, მიუხედავად ბოლოდროინდელი მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა, კვლავ გარკვეულ ეჭვებს ბადებს.

ამ პრობლემების გადასაღებად, ალბათ, ხელი უნდა შეეწყოს სამრეწველო მანქანების და მოწყობილობის ლიზინგის სისტემებში გამოყენებას, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ზომის სამრეწველო კომპანიების შემთხვევაში. ლიზინგის ამღების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ლიზინგით გამცემ კომპანიას არ სჭირდება სასამართლოში წასვლა ლიზინგით გაცემული აქტივების დასაბრუნებლად, ვინაიდან ისინი მისი საკუთრებაა და ყველაფერი იოლად გვარდება.

დღემდე საქართველოში

ლიზინგის განვითარება ფერხდება საგადასახადო ხარჯვების გამო, ვინაიდან იგი დღეს-იხვეწება. ეს კი ამ სიცოცხლისუნარიან და მარტივ ფინანსურ ინსტიტუტებს ნაკლებ მიმზიდველს ხდის იმავე საქონლის საშუალოვადიანი კრედიტით დაფინანსებასთან შედარებით, ვინაიდან სარგებელი, რომელიც ლიზინგის ქირაში დევს - იხვეწება, საშუალოვადიანი კრედიტის სარგებელი კი - არა.

გარდა ამისა, საჭიროა, რაც შეიძლება სწრაფად შეიცვალოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიდგომა საქართველოს ეკონომიკის დაფინანსებისადმი. ამკარავა, რომ მათი კეთილგანწყობა იმ ბანკებისადმი, რომლებსაც აფინანსებენ, არ არის უსაფრთხო. რა აზრი აქვს ე.წ. მცირე და საშუალო სანარმოების დაფინანსებას, თუ ეს სანარმოები უმეტესწილად სავაჭრო კომპანიებია, რომლებიც იმპორტის ახორციელებენ? ან რატომ ფინანსდებიან უძრავი ქონება ასე განურჩევლად იმ დროს, როდესაც მისი სარისკო ბუმის ნიშნები აშკარად იკვეთებოდა ბაზრის, პრაქტიკულად, ყველა სემანტზე? ბოლოდროინდელმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ეს კითხვები სრულიად ლეგიტიმურია და პასუხს მოითხოვს, რაც შეეხება ამ გაუაზრებელი დაკრედიტების შედეგებს, ისინი ფინანსური კრიზისის პირობებში საკმაოდ მძიმე ვითარებად დაგვიბრუნდა.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა, რომლებიც საქართველოს ბანკების დაფინანსებაში მონაწილეობენ, ამ ეტაპზე მიზანშეწონილია ფოკუსირება მოახდინონ საგარეო შემოსავლის გენერირებასა და დანაზოგების შემქმნელ საქმიანობებზე, უწინარეს ყოვლისა, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაზე, აგრეთვე ენერჯის წარმოებასა და ეფექტიანობაზე. რაც შეეხება დანარჩენ

აქტივობებს, იქ მათი ჩარევა პრაქტიკულად არც არის საჭირო და შეიძლება მხოლოდ ბანკების აქტივების სწრაფ ზრდას შეუწყოს ხელი, რაც არ წარმოადგენს საერთაშორისო ინსტიტუტების ვალდებულებას.

განსაკუთრებით საინტერესო შეიძლება იყოს საერთაშორისო საფინანსო და წამყვანი ორმხრივი ინსტიტუტების მხრიდან ენერჯის წარმოებასა და ენერგოეფექტიანობასთან დაკავშირებული სპეციფიკური ფინანსური ინსტრუმენტების შეთავაზება. მათ შეუძლიათ ქართველ პარტნიორებს გაუზიარონ მაღალტექნოლოგიური ფინანსური პროდუქტებით (მაგალითად, ე.წ. ნახშირბადის დაფინანსებით, რაც ნახშირბადის კრედიტების მობილიზების საშუალებას იძლევა, რომლებსაც კოიტოს პროტოკოლის თანახმად, ინდუსტრიული ქვეყნები გამოყოფენ) სარგებლობის მდიდარი გამოცდილება, აგრეთვე ხელი შეუწყონ ენერჯის სხვადასხვა ზომის, კერძო და დამოუკიდებელი მწარმოებლის ძლიერი სექტორის შექმნას, ვინაიდან საქართველოს შიდა როლექტროენერჯეტიკული პოტენციალი კვლავ მეტწილად გამოუყენებელი რჩება.

თუ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები მეტი სერიოზულობით მოექიდებიან იმ სამრეწველო კომპანიების დაფინანსებას, რომლებიც საერთაშორისო ბაზრებზე გაყიდვად საქონელს ქმნიან, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ ეტაპზე საჭირო იყოს განვითარების სპეციალური ბანკის შექმნა ან იაფი კრედიტის პროგრამის განხორციელება, რომელიც წლევიანდელ ბიუჯეტში ისედაც შემცირდა 50-დან 20 მილიონ ლარამდე.

ცხადია, უფრო მნიშვნელოვანია, ხელი შეეწყოს სამრეწველო კომპანიების აქტივებში კომერციული ბანკების ინვესტირებას, უშუალოდ ან საინვესტიციო ფონდების მეშვეობით, როგორც შექმნასაც, სხვადასხვა ეტაპზე, არაერთი ქართული ბანკი ანონსირდება.

ამ ინსტიტუტებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ დროთა განმავლობაში აღნიშნული ინვესტიციებიდან გასვლის საშუალება ადგილობრივ საფონდო ბირჟაზე სამრეწველო აქტივების საჯარო კოტირების გზით.

გარკვეული როლის შესრულება შეუძლიათ უცხოურ ბანკებსაც. საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა მათი და ძლიერი ადგილობრივი ინსტიტუციური ინვესტორების კომბინაცია. ამ თვალსაზრისით სერიოზულ შემოთავაზებას იწვევს მზარდი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული სამომხმარებლო შესყიდვების ბუმთან და კერძო დანაზოგების შემცირება (საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, კერძო დანაზოგები 2005 წელს მშპ-ს 13,8%-დან 2007 წელს 6,3%-მდე შემცირდა).

აქედან გამომდინარე, საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით რაც შეიძლება სწრაფად უნდა იმპლემენტირდეს გრძელვადიანი კერძო დანაზოგების სავალდებულო სისტემა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ჩილეს საპენსიო ფონდების სისტემა. დანაზოგების მობილიზაციის ამგვარი სისტემის გარეშე ოცნებად დარჩება თბილისის რეგიონულ ფინანსურ ცენტრად გადაქცივის სტრატეგიული პროექტი. უფრო მეტიც, საქართველომ შეიძლება სახიფათო მაკროეკონომიკურ სივრცეში შეაბიჯოს, განსაკუთრებით, თუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომლებითაც აქამდე მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ფინანსდებოდა, მომავალშიც ისევე შემცირდება, როგორც ამჟამად - პოსტსაოპიკო საქართველოს ვითარებაში.

სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი სახელმწიფოების მთავრობებს მოუწოდებს, ეკონომიკაში მეტი ინექცია განახორციელონ

მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი სახელმწიფოების მთავრობებს მოუწოდებს, ეკონომიკაში მეტი ინექცია განახორციელონ. ამის თაობაზე დომინიკ სტროს-კანმა რადიო ბი-ბი-სისთან ინტერვიუში განაცხადა. ფონდის ხელმძღვანელის თქმით, ვაშინგტონში ოცი განვითარებული ქვეყნის ლიდერის ცოტა ხნის წინანდელ შეხვედრაზე მიღებული ზომები, შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს. სსფ-ს პროგნოზით, მომავალი წლისთვის ეკონომიკის განვითარების პროგნოზი გაუარესებულია. ფონდის ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ მსოფლიოში მთლიანი შიდა პროდუქტი 3%-ით გაიზარდება, თუმცა, ახლა ისინი 2,2%-ზე მეტ ზრადს აღარ ელოდებიან. ამასთანავე, კანმა აღნიშნა, რომ იანვარში პროგნოზი კვლავ გადაიხედება და შესაძლოა იგი კიდევ უფრო გაუარესდეს. ფონდის ხელმძღვანელი ვარაუდობს, რომ მსოფლიო ეკონომიკის აღორძინებას ხელს შეუწყობდა მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-იანი ან 1,2 ტრილიონი დოლარის ოდენობის ფინანსური პაკეტის განხორციელება.

რუსეთ-საქართველოს ომმა ყველაზე მეტად მშენებლობისა და ტრანსპორტის სფერო დააზარალა

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC)-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, რუსეთ-საქართველოს ომმა ყველაზე მეტად შემოსავლების კლება მშენებლობისა და ტრანსპორტის სფეროში გამოიწვია. (IFC)-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, აგვისტოს მოვლენებმა თითქმის ყველა სფერო დააზარალა. მან უარყოფითი უარყოფითი გავლენა მოახდინა მრეწველობის 71%-ზე, მშენებლობის 87%-ზე, ვაჭრობის 77%-ზე, ტრანსპორტის 81%-ზე, ხოლო საფინანსო სფეროს 70 %-ზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს 6 დიდ ქალაქში: ბათუმში, ქუთაისში, გორში, ზუგდიდში, ფოთსა და რუსთავში, გამოკითხული 400 საწარმოს მფლობელის პასუხების მიხედვით, აგვისტოს მოვლენებმა შემოსავლების კლება უფრო მეტად მცირე საწარმოებში გამოიწვია, რაც შეეხება ადგილობრივ ბაზრებზე, აღსანიშნავია, რომ თბილისსა და რეგიონებში განთავსებული საწარმოების შემოსავლებზე აგვისტოს მოვლენებმა თითქმის ერთნაირად იმოქმედა.

სსფ: ფინანსურმა მხარდაჭერამ ხელი უნდა შეუწყოს ქართულ ბანკებს საგარეო ვალდებულებების შესრულებაში

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, მომავალში, საქართველოს მთავრობის პროგრამა მიმართული იქნება საერთაშორისო ფინანსური კრიზისითა და გლობალური ეკონომიკური პრობლემებით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების შემსუბუქებაზე. შეზღუდული საერთაშორისო საფინანსო რესურსების პირობებში, საერთაშორისო ბაზრებზე არსებული პრობლემების მოგვარებამდე, პროგრამის ძირითადი პრიორიტეტები იქნება მდგრადი ეკონომიკური ზრდის, ვალუტის კურსისა და ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფა. ქვეყნის ფისკალური პოლიტიკა მიმართული იქნება ეკონომიკური აქტივობის მხარდაჭერაზე, ხოლო მონეტარული პოლიტიკა - ინფლაციის დაგეგმილი მაჩვენებლის მიღწევაზე, მიანიჭებს რა აქტიურ როლს საპროცენტო განაკვეთის რეგულირებას გაცვლითი კურსის მოქნილობასთან შესაბამისობაში. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოყოფილი ფინანსური მხარდაჭერამ ხელი უნდა შეუწყოს ქართულ ბანკებს მათი საგარეო ვალდებულებების შესრულებაში. მთავრობა გეგმავს ბანკებთან აქტიურ მუშაობას ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკების შემცირებისა და საბანკო აქტივების ხარისხის გაუმჯობესების თანხედან ასაცილებლად. ამისათვის, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც ორ უწყებას შორის პოლიტიკის კოორდინაციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს შექმნის.

ÖÀÒÚÌ × ÉËÉ Ä

პირველი გვირგვინი

ამასთან ზრუნვის საგანი უნდა იყოს როგორც ენერგომომარაგების გრძელვადიანი სტაბილობა და საიმედოობა, ასევე ენერჯის ხელმისაწვდომი ფასები, რამაც საბოლოოდ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის სტაბილური განვითარება და მოსახლეობის კეთილდღეობა.

ენერგოუსაფრთხოების რისკების შესამცირებლად ქვეყნები ცდილობენ მაქსიმალურად გამოიყენონ სამი ძირითად მიდგომა. ესენია: ენერგომომარაგების გარე წყაროების დივერსიფიკაცია, ენერჯის შიგარესურსების მაქსიმალური ათვისება და ენერჯის გამოყენების ეფექტურობის ანუ ენერგოეფექტურობის ამაღლება. ამ წერილში ყურადღებას სწორედ ქვეყანაში ენერგოეფექტურობის ამაღლების სასიცოცხლო მნიშვნელობაზე გვახმაზივლებთ.

საქართველოს ენერგეტიკული უზრუნველყოფის არსებული მდგომარეობა

არასტაბილურ საგარეო პოლიტიკურ და სამხედრო ვითარებაში მყოფი საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების რისკების შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ მისი ენერგეტიკული მოთხოვნილების 2/3-ზე მეტი ენერგორესურსების (ბუნებრივი გაზისა და ნავთობპროდუქტების) იმპორტის ხარჯზე კმაყოფილება და რომ ენერგეტიკული ხარჯები საგარეო სავაჭრო დეფიციტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მდგენელს შეადგენს. ქვეყნის ენერგომომარაგების სურათი დაახლოებით შემდეგნაირად გამოიყურება:

ქვეყნის ენერგეტიკული მოთხოვნილების თითქმის ნახევარი კმაყოფილება იმპორტირებული ბუნებრივი გაზით. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რუსეთიდან იმპორტირებული გაზის ფასი ოთხჯერ და მეტად გაიზარდა, რასაც აზერბაიჯანული გაზის გაძვირებაც მოჰყვა და სამომხმარებლო ტარიფის შესაწინარუნებლად ბიუჯეტიდან მისი მნიშვნელოვანი სუბსიდირება გახდა საჭირო. გაზმომარაგების მდგომარეობას რამდენადმე ამსუბუქებს ბუნებრივი გაზის მზარდი მოხრება

ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენიდან და ასევე სომხეთში რუსული გაზის ტრანზიტის საფასურად მიღებული გაზი, თუმცა მიუხედავად აზერბაიჯანთან დადებული ახალი ხელშეკრულებისა გაზით მომარაგების რისკები მთლიანად მოხსნილი არ არის. გაზის საცავის არარსებობის პირობებში, მონოდების მცირე-ვადიანი შეწყვეტაც მტკივნეული დარტყმა შეიძლება გახდეს მოსახლეობისათვის და ეკონომიკისათვის.

ნავთობპროდუქტების იმპორტით საქართველოს ენერგეტიკული მოთხოვნის დაახლოებით 25% კმაყოფილება. იმპორტის ეს ნაწილი საკმაოდ დივერსიფიცირებულია და ფასები ძირითადად მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურას ექვემდებარება. ჩვეულებრივ სიტუაციაში მის შეწყვეტას განსაკუთრებული საშიშროება არ ემუქრება, თუმცა ფასების ცვალებადობა პირდაპირ აისახება საქართველოს ეკონომიკაზე.

საქართველო ენერგოუზრუნველყოფაში დიდი წვლილი შეაქვს შუქს. რაც სხვადასხვა შეფასებით ქვეყნის საერთო ენერგეტიკული მოხმარების 15-25%-ს შეადგენს. გამოყენებული შუქის ენერჯია აღემატება ყველა ჰიდროსადგურის მიერ გამოიმუშავებულ ენერჯიას და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის სითბოს უმთავრეს წყაროს წარმოადგენს. სპეციალისტების აზრით შუქის ჭრის ტემპები რამდენჯერმე აღემატება დასაშვებ ნორმებს და ამან უკვე გამოიწვია გარემოს შეუქცევადი დაზიანება ქვეყნის მრავალ რეგიონში.

ბოლო წლებში საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და, პირველ რიგში, ჰესების რეაბილიტაციის ხარჯზე, პრაქტიკულად გადაწყდა ქვეყნის ელექტრომომარაგების პრობლემა. თუმცა შიგარესეულ რესურსების ხარჯზე ინარმოება ელექტროენერჯის 80%, ხოლო დანარჩენი მიიღება თბოსადგურებზე, იმპორტირებული ბუნებრივი გაზის გამოყენებით. ჰიდროელექტროსადგურები საქართველოს მთლიანი ენერგომომარაგების დაახლოებით 15%-ს აკმაყოფილებს. ზაფხულის წყალუხვობის პერიოდში, ელექტროენერჯის გენერაციის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად აჭარბებს ქვეყნის შიგარესეულ მოთხოვნილებას, რითაც იქმნება ექსპორტის შესაძლებ-

ლობა. სამწუხაროდ ამ რესურსის სრულად გამოყენება ვერ ხერხდება და ხდება წყლის მნიშვნელოვანი რაოდენობის უქმი დაღვრა.

პოლიტიკური დაძაბულობის გამო რუსეთიდან გაზის მიღების პერსპექტივები ფასის და უწყვეტობის თვალსაზრისითაც მაღალ რისკებთან არის დაკავშირებული. გაიზარდა ენერჯი-ვარდნილის კასკადიანი (ჰიდროგენერაციის თითქმის 50%) ელექტროენერჯის ძველი პირობებით მიღების რისკები. ასევე იზრდება რეგიონში ენერგეტიკული თანამშრომლობის რისკები, რაც ქვეყნის შიგარესურსებზე მეტ ორიენტაციას მოითხოვს.

შიგარესეული ენერგეტიკული პოტენციალის ათვისების მხრივ სიტუაცია საკმაოდ რთულია. საქართველოს ნიადაგიური საწვავის მოპოვება ქვეყნის მოთხოვნილების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს აკმაყოფილებს. პერიოდულად მიმდინარეობს ნავთობის და გაზის დამატებითი მარაგების ძიება, თუმცა ამ მხრივ დამაიმედებელი შედეგები ჯერჯერობით არ ჩანს. პერიოდულად ასევე განიხილება ნახშირის მარაგების ათვისების სხვადასხვა ვარიანტები (საბადოს გაზის გამოყენების, ნახშირის თბოსადგურის აშენების და ა.შ.), თუმცა ამ მხრივ გამოკვეთილი გადაწყვეტილება არ ჩანს. უნდა ვივარაუდოთ, რომ განხილული პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები არასაკმარისია განხორციელებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

საქართველოს მნიშვნელოვანი ათვისებელი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი გააჩნია, მაგრამ მიუხედავად გავრცელებული შეხედულებისა, ახალი ჰიდროსადგურების აშენების და შესაბამისად მათი ენერჯის ღირებულება საკმაოდ მაღალია. ამასთან ერთად, ზაფხულში ელექტროენერჯის სიჭარბის გამო ახალი ჰესების ენერჯის დიდი ნაწილის გასაღება ქვეყნის შიგარესეულ მოთხოვნილებას. ამიტომ საქართველოს შიგარესეულ ენერგეტიკულ რესურსების ათვისების შესაძლებლობა ასევე დიდწილად გარე ფაქტორებზე, კერძოდ რეგიონულ ენერგეტიკულ თანამშრომლობაზე არის დამოკიდებული. საქართველოს ასევე გააჩნია ქარის ენერჯის მნიშვნელოვანი პოტენციალი, რომ-

ლის ათვისებაც იგივე პრობლემებს აწყდება, თუმცა ზოგიერთ კერძო შემთხვევაში შეიძლება უფრო მომგებიანიც კი იყოს ვიდრე ჰიდრო რესურსებისა.

ყველა შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ ახალი ენერგეტიკული რესურსების ათვისება დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული, რაც ქვეყანაში ენერჯის ღირებულებას გაზრდის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ელექტრომომარაგების სფეროში უკვე საკმარისად კრიტიკულად დგას ენერჯის ხელმისაწვდომობის პრობლემა. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის სარეკორდო ქართულმა ელექტროტარიფებმა ქვეყანაში სავარაუდოდ უკვე შეზღუდა ელექტროენერჯის მოხმარება, რომელიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პრაქტიკულად აღარ იზრდება.

ამგვარად, ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების ორივე მნიშვნელოვანი ასპექტი - მონოდების საიმედო და ენერგორესურსების ეკონომიკური ხელმისაწვდომობა სერიოზულ რისკებთან არის დაკავშირებული. ამიტომ საჭიროა ენერგეტიკული უზრუნველყოფის სხვადასხვა რესურსების მაქსიმალური მობილიზება. მათ შორის არის ენერჯის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების პოტენციალი, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს ქვეყნის ენერგეტიკული მოთხოვნილება და შეამციროს ენერგოუსაფრთხოების რისკები. სამწუხაროდ ეს შესაძლებლობა აქამდე პრაქტიკულად უგულებელყოფილია.

რამდენად ეფექტურად ვიყენებთ ენერჯიას საქართველოში?

ჩვენს ქვეყანაში მეტწილად ხარისხით და გავრცელების არეალით გაჩნდა ცივილიზებული სამყაროს მრავალი ატრიბუტი. უკვე გვაქვს სუფთა ქუჩები, თანამედროვე ხარისხიანი გზები, მობილური ტელეფონები და ინტერნეტი, საბანკო სისტემა და პლასტიკური ბარათები, თანამედროვე ავტომანქანები და სხვა. ამ ფონზე, ქვეყანაში ენერჯის გამოყენების ეფექტურობის დონე სრულ ანაქრონიზმად გამოიყურება.

დღესდღეისობით საქართველო ერთ სულ მოსახლეზე 6-ჯერ ნაკლებ ენერჯიას მოიხმარს, ვიდრე ფინეთი

და ნორვეგია და 2,5-ჯერ ნაკლებს, ვიდრე საბერძნეთი. ამასთან ერთად, საქარველოში მთლიანი შიგარესული (მშპ-ის) ერთეულის წარმოებაზე დაახლოებით 4,5-ჯერ მეტი ენერჯია იხარჯება ვიდრე მონინავე ქვეყნებში. საქართველოს მოსახლეობა და ეკონომიკა, ერთის მხრივ მცირე რაოდენობის ენერჯიას მოიხმარს და, მეორეს მხრივ, ამ ენერჯიასაც ძალზე არაეფექტურად იყენებს, რაც დამახასიათებელია ნაკლებანვითარებული ქვეყნებისათვის. ჯერ კიდევ ჩვეულებრივი ამბავია ღია ფანჯარასთან ჩართული კონდიციონერი ან გამათბობელი, უმიზნოდ დატოვებული განათება, არაეფექტური შემოსის ღუმელები, კარ-ფანჯრების ღიობებიდან დაკარგული სითბო, არაეფექტური თბოელექტროსადგურები. ჩვენი ძველი და ახლადშენებული შენობების უმეტესობა უკიდურესად არაეფექტურია და სითბოს უდიდეს დანაკარგებს იწვევს. როგორც წესი მომხმარებლებმა არ იციან იმ კონკრეტული სარგებლის შესახებ რაც მათ შეიძლება მიიღონ ენერგოეფექტურობის ამაღლებით. ჩვენი მოქალაქეები ჯერ კიდევ იღებენ კულტურულ შოკს, როდესაც დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ენერჯის მომჭირნედ გამოყენების პრაქტიკას აწყდებიან. ამავე დროს დროს, ის ენერჯია რომელიც დღეს უმიზნოდ იფლანგება, შეიძლება სასარგებლოდ იქნას გამოყენებული მოსახლეობის და ეკონომიკის კეთილდღეობისათვის.

ენერგოეფექტურობა და მისი ამაღლების პოტენციალი

ქვეყანაში ენერჯის გამოყენების ეფექტიანობის ასამაღლებლად შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა სირთულის და ღირებულების ღონისძიებები, ქვემოთ მოვიყვანთ ექსპერტების მიერ ჩატარებული შეფასების მხოლოდ რამდენიმე მაგალითს:

- ვარგარების ნათურების ენერგოეფექტური ნათურებით შეცვლით, მთლიანად ქვეყანაში შესაძლებელია წლიურად დაახლოებით 350 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯის დაზოგვა, რასაც იგივე ეფექტი ექნება რაც მსხვილი ჰიდროსადგურის (მაგალითად ფარავანის ჰესის) მშენებლობას. ეს ღონის-

დახატი სახლი
ერთი ხელის მოსმით

იყიდე სახლი
ერთი ხელის მოსმით

იკოთეკური სანსი

ერთი ხელის მოსმით

- ▶ მხოლოდ 14% -17%
- ▶ სახლის ღირებულების 75%
- ▶ სანსის ვადა 20 წლიამდე

დაგვიკავშირეთ: 177777

ან იხილეთ: www.hsbc.ge

ან მოგზაობეთ: რუსთაველის გამზ. 15

HSBC

თქვენი ბანკი მთელ მსოფლიოში

გამოშვებულია სს 306 შს პმ სპ ბანკი საქართველოს მიერ

ბიზნესი

ძიება შესაძლოა მოკლე დროში განხორციელდეს და დაახლოებით 10-15 მლნ აშშ დოლარი დაჯდება. მაშინ როდესაც ექვივალენტური ჰიდროსადგურის აშენებას სულ ცოტა 120-150 მილიონი დოლარი და 4-5 წელი დასჭირდება.

შენობათა გათბობის ენერგოდანახარჯების 20%-მდე დაზოგვა შესაძლებელია ისეთი მოკლევადიანი და იაფფასიანი ღონისძიებებით, როგორცაა არსებულ შენობებში კარ-ფანჯრების ლიობების ამოყვება და დათბუნება, ან ახალი ენერგოეფექტური ფანჯრების დაყენება და კედლების მარტივი თბოიზოლაცია, ამან შეიძლება მნიშვნელოვანი შედეგით მისცეს მოსახლეობას რომელმაც გასულ ზამთარში ბუნებრივი გაზით გათბობისათვის მხოლოდ თბილისში დაახლოებით 100 მილიონი ლარი გადაიხადა.

ავტოტრანსპორტის ბუნებრივ გაზზე გადაყვანით, შესაძლებელია ქვეყანაში ყოველწლიურად ასამდე მილიონი აშშ დოლარი დაიზოგოს.

ენერგოეფექტური შენობის ღირებულების ფართო დანერგვით შენობის დანახარჯი 40%-ით შეიძლება შემცირდეს, გამოირიცხოს წლიურად მილიონზე მეტი კუბური მეტრი შენობის ჭრა და შეჩერდეს ტყეების განადგურება.

სხვადასხვა სამრეწველო საწარმოების ახალი ენერგოეფექტური დანადგარებით და ტექნოლოგიური პროცესებით აღჭურვილ მსოფლიო გამოცდილების თანახმად შესაძლებელია 10-15% ენერჯის დაზოგვა, რაც მთელი დღეგანდელი მოხმარების 5-7 პროცენტს შეადგენს.

ენერგომომხმარებლის კულტურის ამაღლებით და ენერგოდაზოგვის ჩვენების დაპყვირებით სხვადასხვა პროცესების ოპტიმიზაციით, წარმოების და მოსახლეობის კომფორტის არსებული დონის შენარჩუნების პირობებში მოხმარებული ენერჯის 5-10% შეიძლება დაიზოგოს.

სეზონური დროის შემოღებით შესაძლებელია მზის სინათლის ეფექტური გამოყენება ყოველგვარი დანახარჯების გარეშე.

შეფასებულია, რომ ამ და სხვა ეკონომიკურად მომგებიანი ენერგოეფექტურობის ღონისძიებების გატარებით შესაძლებელია ქვეყნის საერთო ენერგომომხმარებლის დაახლოებით 25%-ით შემცირდეს, გაიზარდოს ენერგოუსაფრთხოების დონე, დაიზოგოს ათეული და ასეული მილიონი დოლარი ენერჯის და ინფრასტრუქტურის ხარჯი. უმეტეს შემთხვევებში ენერჯის ეფექტიანად გამოყენება ბევრად უფრო იაფია ვიდრე დამატებითი ენერჯის წარმოება, თანაც დაზოგვა ძირითადად შემოდგომა-ზამთრის პერიოდზე მოდის, როდესაც ენერგოუსაფრთხოების რისკები განსაკუთრებით მაღალია.

ენერგოეფექტურობა არ ნარმოადგენს თვითმიზანს და ენერგოეფექტურობის ღონისძიებები ძირითადად უნდა განხორციელდეს მაშინ, როდესაც ეკონომიურად გამართლებულია ანუ როდესაც ენერჯის და სახსრების დაზოგვა ერთდროულად მიიღწევა. ამ შემთხვევაში იზრდება ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა და მოსახლეობის კეთილდღეობა და ენერგოუსაფრთხოების საიმედოობა.

გარდა პირდაპირი ენერგეტიკული ეფექტისა, ენერგეტიკული ხარჯის შემცირებით ასევე მიიღწევა ბევრი სხვა დადებითი შედეგი: მცირ-

დება ენერგეტიკაში ახალი ინვესტიციების საჭიროება, იზრდება საქონლის და მომსახურების კონკურენტუნარიანობა, უმჯობესდება მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები. ენერგოეფექტურობის ნახალისებისთვის იქმნება ენერგეტიკული მომსახურების მცირე საწარმოები, სპეციალური საინვესტიციო ფონდები, რაც ეკონომიკურ აქტივობას ზრდის და დასაქმებას უწყობს ხელს. ენერგოეფექტურობის ამაღლებას შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს ქვეყნიდან სახსრების გადინება და საბიუჯეტო თანხების ხარჯვა. ენერგოეფექტურობის ამაღლების ღონისძიებების მნიშვნელოვანი შედეგია გარემოს დაბინძურების და დაზიანების შეზღუდვა, რაც, მაგალითად, გამოიხატება ტყის ჭრის ან

ბა გამოიყენოს ამ ორგანიზაციის მნიშვნელოვანი დახმარება ენერგოეფექტურობის და ზოგადად ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლებაში. კოტოს პროტოკოლით გათვალისწინებული ძსუფთა განვითარების მექანიზმი (sgm) შესაძლებელს ხდის სათბური გაზების ემისიების კვლევების გაყიდვის გზით ათობით მილიონი აშშ დოლარის მიღებას ენერგოეფექტურობის ამაღლების და განახლებადი ენერჯის გამოყენების პროექტებში ინვესტირებისათვის.

ამ მიმართულებით შესაძლებელია აგრეთვე დონორების ფართო მხარდაჭერის გამოყენება. მაგალითად გამოდგება თუნდაც ევროპანის 35 მილიონიანი საკრედიტო ხაზი ენერგოეფექტურობის ღონისძიებე-

მეტი ინიციატივის, ღრმად გააზრებული და თანმიმდევრული ქმედებების საჭიროებას.

ენერგოეფექტურობა არ არის ერთჯერადი დეკრეტით მისაღები მდგომარეობა და ამ მიმართულებით საზოგადოებისა და ეკონომიკის ეტაპობრივ განვითარებას, შესაბამისი იურიდიული, ორგანიზაციული და ფინანსური მექანიზმების შექმნას და თანდათან ამოქმედებას მოითხოვს.

საჭიროა ქვეყანაში ენერგოეფექტურობის ამაღლების გონივრული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ბარიერი არის საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობა, როგორც მომხმარებელთა,

რობა ბიუჯეტს და ეკონომიკას აზარალებს და ა.შ. ეს და სხვა მრავალი სხვა ცრუ შეხედულება ბიზნესმენტა ნინააღმდეგობას და კანონმდებლთა სიფრთხილეს იწვევს და ენერგოეფექტურობის სახელმწიფო დონეზე დანერგვას უშლის ხელს.

აუცილებელია განახლდეს მუშაობა ენერგოეფექტურობის კანონზე რომელიც სრულად გაითვალისწინებს საქართველოს რეალობას და უზრუნველყოფს ქვეყანაში ენერგოეფექტურობის ეტაპობრივ განვითარებას. კანონმა უნდა შექმნას იურიდიული საფუძველი მთავრობის მიერ ენერგოეფექტურობის ამაღლების სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელებისათვის. მანამდე კი სანამ სახელმწიფო სათანადოდ მოემზადება ამ უკიდურესად საშური საქ-



პაერის დაბინძურების შემცირებაში და რასაც დიდი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა გააჩნია.

ამგვარად, ენერგოეფექტური ღონისძიებების გატარება სრულად პასუხობს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური პროგრესის მოთხოვნებს და შესაბამისად სახელმწიფოსაგან აქტიურ მხარდაჭერას მოითხოვს. ყოველ დაკარგულ თვეს თუ კვირას ჩვენი კიბიდან დამატებით ენერგეტიკული ხარჯი მიუჯდება, რომელიც, იმის მაგივრად რომ საქართველოს ეკონომიკაში ჩაიდოს, ენერგოურესურსების ექსპორტიორ ქვეყნებში ინაცვლებს.

ენერგოეფექტურობის განვითარებაში საქართველო შეიძლება დაეყრდნოს არსებულ საერთაშორისო გამოცდილებას, ხელშეკრულებებსა და მექანიზმებს, რომელთა მონაწილეც არის და შესაბამისი ვალდებულებებიც აქვს აღებული. მაგალითად, როგორც ენერგეტიკული ქარტიის ხელმომხმარებელი, საქართველოს ევალება ენერგოეფექტურობის სტრატეგიის, მიზნების და სამოქმედო გეგმების, ასევე შესაბამისი ინსტიტუციური და მარეგულირებელი მექანიზმების შექმნა. როგორც სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულების დამკვირვებელმა და მომავალმა წევრმა საქართველომ შეიძლე-

ბის დასაფინანსებლად. მიზანშეწონილია ამ მიმართულებით იქნას გამოყენებული აგრეთვე აგვისტოს ომის შემდეგ დასავლეთის მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარების გარკვეული ნაწილი.

როგორ დავინყოთ შესაძლებლობების გამოყენება?

მიუხედავად იმისა, რომ ენერგოეფექტურობა ენერგეტიკაში სახელმწიფო პოლიტიკის უპირველეს მიმართულებად არის მიჩნეული, ჯერჯერობით დეკლარირების იქით საქმე არ დაძრულა. ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს ენერგოეფექტურობის განვითარების სტრატეგია და ხედვა, მისი ხელშეწყობის საკანონმდებლო ბაზა და ინსტიტუციური გარემო. ამ ზაფხულს შეჩერდა და გაურკვეველი დროით გადაიდო მუშაობა ენერგოეფექტურობის კანონის შექმნაზე, რომელიც აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ორგანიზებით და ენერგეტიკის სამინისტროს მონაწილეობით მიმდინარეობდა. გარკვეული ბიზნეს ნრევების და პოლიტიკოსების წინააღმდეგობის გამო უშედეგოდ დამთავრდა სამშენებლო კოდექსში ენერგოდაზოგვის მოთხოვნების შეტანის მცდელობაც. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს ამ მიმართულებით

ასევე პოლიტიკოსთა დონეზე. აღნიშნული გარემოება არაერთხელ აღნიშნავთ სხვადასხვა ექსპერტებს, რომლებიც საქართველოში ენერგოეფექტურობის საკითხებზე მუშაობდნენ.

ამდენად, პირველ ეტაპზე აუცილებელია წარმართოს ფართო საინფორმაციო მუშაობა რომელმაც სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებთან ერთად სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებიც უნდა მოიცვას. ენერჯის მომხმარებლებმა და კანონმდებლებმა სრულად უნდა გააცნობიერონ ის სარგებელი, რასაც მათ ენერგოეფექტურობის ამაღლებით შეუძლიათ მიიღონ ინდივიდუალურად და ერთობლივად-როგორც საზოგადოებამ.

საჭირო იქნება ინფორმირების სხვადასხვა მეთოდების ინტენსიური გამოყენება, რათა დაძლეულ იქნას ის ბარიერები, რომლებიც ენერგოეფექტურობის დანერგვას წარუმატებელი მცდელობებით კიდევ უფრო გაძლიერდა. საჭიროა მოხსნას რიგი მცდარი სტერეოტიპებისა, მათ შორის შეხედულება, იმის შესახებ, თითქოს ენერგოეფექტურობის ამაღლება აუცილებლად სავალდებულო ნორმების და დამსჯელი მექანიზმების შემოღებასთან არის დაკავშირებული, რომ ენერგოეფექტუ-

მის განსახორციელებლად, აუცილებელია არასამთავრობო სექტორის და საერთაშორისო დონორთა მკვეთრი გააქტიურება, გაძლიერებული საინფორმაციო მუშაობა, კონკრეტული ღონისძიებების შეთავაზება და განხორციელება.

დასკვნის სახით გავიმეორებთ, რომ: ენერჯის დაზოგვა ქვეყნის ენერგეტიკული და ეკონომიკური უსაფრთხოების ამაღლების ყველაზე იაფი გზაა, რომელსაც ამავდროულად დადებითი წვლილი შეაქვს ეკონომიკური ზრდის, დასაქმების, გარემოს დაცვის საქმეში, ასევე დადებითად მოქმედებს საბიუჯეტო ხარჯებზე და საგარეო სავაჭრო ბალანსზე. ენერგოეფექტურობას კონკრეტული მოგება მოაქვს კონკრეტული მომხმარებლებისათვის. ამასთან ენერგოეფექტურობა დასავლეთთან პრაქტიკულად დაახლოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებასაც წარმოადგენს. საქართველო ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს და დიდი სარგებლის მიღებაც შეუძლია. საჭიროა დროული გამოფხიზლება და ამ მნიშვნელოვან საქმეზე აქტიური მუშაობა, რათა შემციოდეს საქართველოს მიერ ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების გრძელი ნუსხა და იქიდან ენერგოეფექტურობა საბოლოოდ ამოიშალოს.

2009 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებები

საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული 2009 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი, პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, შეიმუშავებს და ახორციელებს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას. საქართველოს პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას დავით ამალობელიძე აღნიშნა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების არსებულ ეტაპზე, საქართველოს ეროვნული ბანკი 2009 წლისათვის საშუალო წლიური ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს ცხრა პროცენტის ოდენობით განსაზღვრავს. 2008 წლისათვის ანალოგიური მაჩვენებელი (საშუალო წლიური ინფლაცია) მოსალოდნელია, რომ 10.5% იყოს. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული ძირითადი მიმართულებები მომავალი წლისათვის ინფლაციის შემცირებაზეა ორიენტირებული. საქართველოს ეროვნული ბანკი 2009 წლიდან ეტაპობრივად გადადის ინფლაციის თარგეთირებაზე. მიზნობრივი მაჩვენებლის მისაღწევად, საქართველოს ეროვნული ბანკი გამოიყენებს მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმს, რომლის თანახმადაც შესაძლებელია მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით ფასების დინამიკაზე გავლენის მოხდენა. პარლამენტისთვის წარდგენილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებით ხელი შეეწყობა ეკონომიკის სტაბილურ და გრძელვადიან ზრდას, რაც გააუმჯობესებს საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობას. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად ყოველწლიურად წარედგინება.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით გამართული აუქციონიდან შემოსულმა თანხამ 473 162 ლარი შეადგინა

ეკონომიკური განვითარების სამინისტროში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით გამართული აუქციონიდან შემოსულმა თანხამ 473 162 ლარი შეადგინა. აუქციონზე გამოტანილი იყო 21 ობიექტი - ლაგოდეხის, სამტრედიის, წალკის, კასპის, დუშეთის, საგარეჯოს, აბაშის, მცხეთის, ნინოწმინდის, მარნეულის, დუშეთის, თერჯოლის, ხობის, ზესტაფონის, გარდაბნის და ბორჯომის რაიონებში. აუქციონზე ყველაზე მაღალ ფასად გაიყიდა მე-11 ობიექტი - მარნეულის რ-ნში, სოფ. ცოპის ტერიტორიაზე "სადახლოს" გამარმარილოებულ კირქვის (სალორდე) საბადო. აღნიშნულ ობიექტზე სანჯისი ფასი შეადგენდა 227 912 ლარს. საბოლოო ფასი დაფიქსირდა 250 703 ლარი. გამარჯვებულად გამოცხადდა ფ/პ დავით კურცხალია. ასევე, მაღალ ფასად გაიყიდა 21-ე ობიექტი - დუშეთის რ-ნში, სოფ. ჩარგლის მიმდებარე ტერიტორიაზე "კანალხევის" წყაროს წყალი (ჩამოსასხმელად). აღნიშნულ ობიექტზე სანჯისი ფასი შეადგენდა 53 795 ლარს. საბოლოო ფასი დაფიქსირდა 59 175 ლარი. გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს "ჩარგლის წყაროები". აუქციონში მონაწილეობას იღებდა 15 მენარმე. გამარჯვებულად გამოცხადდა 14 მენარმე. ვინაიდან ოთხ ობიექტზე (I ობიექტი - ლაგოდეხის რ-ნში, სოფ. გიორგეთის ტერიტორიაზე, მდ. კაბალზე კაბალი"-ს ქვიშა, ხრემის გამოვლინება; IV ობიექტი - კასპის რ-ნში, სოფ. ახალციხის ტერიტორიაზე, "ნოსტეს" კირქვის (მოსაპირკეთებელი) გამოვლინება; VII ობიექტი - საგარეჯოს რ-ნში, სოფ. ხაშმის ტერიტორიაზე, მდ. იორზე "ხაშმის" ქვიშა, ხრემის გამოვლინება; XII ობიექტი - ნინოწმინდის რ-ნში, სოფ. სპასოვკის ტერიტორიაზე "სპასოვკის" ბაზალტის (სალორდე) გამოვლინება) არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განცხადება აუქციონში მონაწილეობის მიღების თაობაზე, აუქციონი, გამოცხადებული პირობებითა და სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნებით, გამოცხადებულად ითვლება აუქციონის ჩაშლილად გამოცხადების თაობაზე მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, ხოლო აუქციონი ჩატარდება პირველი განაცხადის შემოტანიდან მეოთხე საშუალო დღეს.

ლიკა ჯობაძე

უკრაინამ კომპანია გაზპრომის ვალიდან 800 მილიონი დოლარი გაისტუმრა. თუმცა, გაზპრომი მოვლენათა ასეთი განვითარებით კმაყოფილი არაა. ის ფაქტი, რომ 2008 წლის ბოლომდე კიევი მოხმარებული ბუნებრივი აირის ვალის ბოლომდე გადახდას არ აპირებს, რუსული მონოპოლისტის ინტერესებს ეწინააღმდეგება. კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელი სერგეი კუპრიანოვი აღნიშნავს, რომ თუ წლის ბოლომდე მდგომარეობა გაზპრომის სასარგებლოდ არ განვითარდება, ახალი წლიდან რუსეთი უკრაინას გაზს გადაუკეტავს. ასე, რომ ტრადიციული საახალწლო გაზის ომი დაიწყო.

უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო აცხადებს, რომ კომპანია "ა" -მა იმ გაზის საფასურის გადახდა დაიწყო, რომელიც მინისტრის განცხადებით ჩატუმბული. ეს პროცესი უახლოეს მომავალში დასრულდება. მისივე განმარტებით, საცავში მობილიზებული გაზი 2009 წლის დასაწყისისთვის რესურსის სახით იქნა ჩატვირთული. გასულ კვირას უკრაინამ პირველი ნაბიჯი გადადგა და გაზპრომს ვალის ნაწილი - 800 მილიონი დოლარი გადაუხადა, უახლოეს მომავალში კი კიევი კიდევ 200 მილიონი დოლარის გადახდას აპირებს. იუშენკო აცხადებს, რომ უკრაინა ვალის გადახდას იმიტომ ჩქარაობს, რომ მისი, როგორც მომხმარებელი ქვეყნის იმიჯს არ შეილახოს. დღეისათვის ეს საკითხი ფინანსურად უზრუნველყოფილია და შეგვიძლია უკვე ნერტილიც დავესვათ, - განაცხადა ვიქტორ იუშენკომ.

უკრაინის ლიდერის განცხადების მიუხედავად, გაზის კონფლიქტისთვის საბოლოო ნერტილის დასმა უახლოეს მომავალში არ მოხერხდება. გაზ-



პრომის ოფიციალური წარმომადგენელი სერგეი კუპრიანოვი აცხადებს, რომ უკრაინა გაზპრომის ვალის სრულად დაფარვას მიმდინარე წლის ბოლომდე არ ჩქარაობს.

როგორც ცნობილი იყო, "ა"-ის რუსეთისადმი დავალიანება 2,4 მილიარდ დოლარს შეადგენდა, ახლა კი ვალის საერთო მოცულობა დეკემბრისთვის ჩათვლით 3 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

იმ შემთხვევაში, თუ უკრაინა ვალს ბოლომდე არ დაფარავს, რისი დიდი ალბათობაც არსებობს, რუსული მხარე არავითარ დათმობაზე არ წავა. რაც იმას ნიშნავს, რომ გაზპრომი, ყველა იურიდიული ნორმის გათვალისწინებით, ახალ კონტრაქტს, ხელს აღარ მოაწერს. - განაცხადა სერგეი კუპრიანოვმა.

გაზპრომის წარმომადგენელი იმასაც აღნიშნავს, რომ მიმდინარე კვირაში გაზპრომი ევროპულ პარტნიორებს უკრაინის ტერიტორიის გავლით გაზის ტრანზიტთან დაკავშირებული პრობლემის შესახებ შეატყობინებს. რუსული მხარე პარტნიორ-კომპანიებს წერილობითი ფორმით მიმართავს და იმ რისკების შესახებ აცნობებს, რაც უკრაინის ქმედებას მოჰყვება. - აღნიშნავს კუპრიანოვი.

ექსპერტების შეფასებით, წლის ბოლოსთვის მოვლენათა ასეთი განვითარება პირველი შემთხვევა არ არის. თუ წინასაახალწლო პერიოდში ტელევიზიით კუპრიანოვს იხილავთ, ეს იმას ნიშნავს, რომ უკრაინას რუსეთისთვის მოხმარებული გაზის საფასური არ გადაუხდია. ასე მოხდა გა-

სულ წელსაც. - აღნიშნავს ექსპერტი ალექსანდრე ნაზაროვი. მისივე თქმით, ეკონომიკური ვითარება უკრაინაში იმაზე რთულია, ვიდრე რუსეთში, რასაც სტატისტიკაც მოწმობს. ამიტომ, პრობლემისადმი უფრო გონივრული მიდგომა უკრაინას არ აწყენდა.

რუსეთ-უკრაინას შორის გაჩაღებული კონფლიქტით ევროკავშირიც შემოფოთებულია. ჯერ კიდევ სექტემბერში ევროკავშირმა ორივე მხარეს კომპრომისის მიღწევისკენ მოუწოდა, თუმცა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დღემდე დაძაბულია. რუსეთის მიერ უკრაინისთვის გაზის შეწყვეტა ევროპის გაზომომარაგების საკითხსაც საფრთხის ქვეშ აყენებს.

რუსული მხარე პარტნიორ-კომპანიებს წერილობითი ფორმით მიმართავს და იმ რისკების შესახებ აცნობებს, რაც უკრაინის ქმედებას მოჰყვება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საგადასახადო-საბაჟო კოდექსში განსახორციელებულ ცვლილებებს კიდევ ერთი ცვლილება დაემატება. "აღნიშნული ცვლილება საომარი მოქმედებების დროს დაზარალებულ პირებზე საგადასახადო შეღავათების დაწესებას ითვალისწინებს. ცვლი-

ლები თანხმად, საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს საქართველოს ფინანსთა მინისტრს შეუძლია გამოსცეს ბრძანება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში განსაკუთრებული პირობების შემოღების შესახებ, - განუცხადა "პირველს" ფინანსთა სამინისტროს შემო-

სავლების სამსახურის უფროსმა ირაკლი სირაძემ და დასძინა, რომ "ფინანსთა მინისტრის განკარგულებით, შეღავათები შესაძლოა, დეკლარაციის წარდგენისა და გადასახადების გადახდის ვადების გადავადებაზეც დაწესდეს". ამასთან, მისივე თქმით, "პროექტი დავების განხილვის საბჭოს საომარი მოქმე-

დებების შედეგად განადგურებული და დაზიანებული ფასეულობების ჩამონერის უფლება-საც მიანიჭებს". შეგახსენებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საგადასახადო-საბაჟო კოდექსში შეტანილ ცვლილებებს საკანონმდებლო ორგანოს საგაზაფხულო სესიის განახლებისთანავე წარუდგენს.

"აღიშნული იქნება" "დარღვეული იქნება" დარღვეული იქნება

მარკ ლორტყანიძე

ასე ისურვა აშშ-ის წარმავალმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, ვინც ორი ამერიკული კომპანიის გადასარჩენად, 17.4 მილიარდი დოლარი გაიშვება. ამგვარად, მან უამრავ ადამიანს სამუშაო, ამერიკულ ავტონდუსტრიას კი გადარჩენის შანსი შეუნარჩუნა.

ბევრი რესპუბლიკელი სენატორისგან განსხვავებით, რომლებიც თანახმაი იყვნენ, რომ ამერიკული კომპანიები თვითდინებაზე, ბედის ანაბარა მიეშვათ, ბუშმა განაცხადა, რომ ასეთი საქციელი მისგან დიდი უპასუხისმგებლობა იქნებოდა, რადგან ამ კომპანიების გაჩერება ამერიკის ეკონომიკის კრიზისს უკიდურესად გააძლიერებს, რაც დაუშვებელია.

გამოყოფილი თანხიდან, 4 მილიარდს დაუყოვნებლივ მიიღებს კრაისლერი. ამდენივე თანხა ახალ წლამდე გენერალ მოტორსსაც გამოეყოფა, რომელიც იანვარში დამატებით 5.4, ერთი თვის შემდეგ კი მორიდ 4 მილიარდს მიიღებს. ფორდი ვერჯერობით ჩრდილო დგას - მას ანგარიშზე ვერცა გააჩნია თავისუფალი სახსრები და დაუყოვნებლივ დახმარებას არ საჭიროებს, თუმცა გაყიდვების შემდგომი კლუბისა და დანარჩენი ორი კომპანიის კრაისის შემთხვევაში, 9 მილიარდ დოლარს მოითხოვს.

თუ ჩვენ თავისუფალი ბაზრის დინებაში არ ჩავერევით, მალე ამერიკას საკუთარი ავტონდუსტრია აღარ ექნება, რისი დაშვებაც არ შეგვიძლია, რადგან მოვლენათა ამგვარი განვითარება კიდევ უფრო გააღრმავებს ეკონომიკურ კრიზისს, - თეთრ სახლში გამოსვლისას განაცხადა ბუშმა.

ორი ამერიკული ავტოკომპანია 17.4 მილიარდ დოლარს იმ 700 მილიარდიდან მიიღებს, რომელიც ოქტომბერში კონგრესმა აშშ-ის ფინანსური სექტორის მხარდასაჭერად და გადასარჩენად გამოყო. ბუშის განცხადების შემდეგ, დაუყოვნებლივ გაიზარდა აშშ-ის საფონდო ბირჟების ინდექსები, ჯენერალ მოტორსის აქციების ფასმა კი 11.2 პროცენტით მოიმატა.

ბუშის მიერ სანქცირებული დახმარება ჯენერალ მოტორსისა და კრაისლერისთვის საშინაო ინდუსტრიის განვითარებისთვის, ვინაიდან ეს კომპანიები მიღებულ თანხას მომგებიან საქმიანობაზე გადასასვლელად გამოიყენებენ. ნინა აღმდეგ შემთხვევაში, ორივეს ნასესხები თანხის დაუყოვნებლივ დაბრუნება მოუწევს.

აშშ-ის ახლადარჩეული პრეზიდენტი ბარაკ ობამა მიესალმება ბუშის ნაბიჯს, თუმცა დასძენს, რომ კარგი იქნება, თუ



ბუშმა ავტოკომპანიებისთვის დახმარების შესახებ თეთრი სახლის რუხველტის სახელობის ოთახში გამოაცხადა

მოთხოვნებს შორის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი ორი კომპანიის თანამშრომლების სამსახურიდან დათხოვნას მაქსიმალურად შეზღუდავს.

მე განვაცხადე, რომ პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას, ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანი 2.5 ახალი სამუშაო ადგილის შექმნაა. მე მივინდა, რომ ამ რიცხვიდან, გარკვეული ნაწილი ავტონდუსტრიაზე მოვიდეს, - ამბობს ობამა.

ბევრი დემოკრატი სენატორი და ავტოპროფკავშირების ხელმძღვანელები ბუშის მიერ ავტოკომპანიებისთვის შეთავაზებული პირობებით უკმაყოფილონი არიან და ვარაუდობენ, რომ ჯენერალ მოტორსისა და კრაისლერის რესტრუქტურისთვის შედეგად, ყველაზე მეტად მუშები და საშუალო რანგის მოსამსახურეები დაზარალებულნი იქნებიან.

სესხის გაცემის ერთ-ერთი პირობის მიხედვით, პროფკავშირებმა უნდა გადახედონ ავტოკომპანიებთან ორიოდ თვის წინ გაგრძელებულ კონტრაქტებს. გადახედვის შემდეგ, სახელფასო მოთხოვნები იმ პირობებს უნდა გაუთანაბრდეს, რომლებიც პროფკავშირებს იაპონურ კომპანიებთან აქვთ. ცნობისათვის, ამ პირობის მიხედვით, იაპონური კომპანიები ამერიკის ქარხნებში დასაქმებულებს საათში 3 დოლარით ნაკლებს უხდიან, ვიდრე ამერიკული კომპანიები.

ბუშის განცხადების შემდეგ, ჯენერალ მოტორსის მთავრმა აღმასრულებელმა რიჩარდ ვაგონერმა განაცხადა, რომ მისი კომპანია მოკლე ვადებში შეძლებს თავისი რესტრუქტურისთვის გეგმის მოდიფიცირებას და დათქმულ ვადაში, პრეზიდენტის მოთხოვნებს სრულად დააკმაყოფილებს.

ოპტიმისტურადაა განწყობილი კრაისლერიც, რომელიც მოკლე ხანში რადიკალური რეფორმების გატარებას აპირებს და იმედოვნებს, რომ ისიც შეძ

ლებს ნამოყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას. აღსანიშნავია, რომ სამი ამერიკული ავტოკომპანიიდან ყველაზე პატარა და სუსტი კრაისლერი მალე თავის ჩრდილოამერიკულ 30-ვე ქარხანას ერთი თვით დახურავს. ამგვარად, კომპანია მნიშვნელოვნად შეამცირებს საოპერაციო ხარჯებს.

ამერიკული კომპანიებისთვის დახმარებას რესპუბლიკელი სენატორების უმეტესობა ეწინააღმდეგებოდა. მათ შორის, საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებული სენატორი ჯონ მაკკეინიც (არიზონა). მას მიაჩნია, რომ ჯენერალ მოტორსი და კრაისლერი დახმარებას მათი ხელმძღვანელების უნიათობის გამო არ იმსახურებენ. მაკკეინს და მისი თანაპარტიკლების უმეტესობას მიაჩნიათ, რომ ამ კომპანიების ხელმძღვანელები ვერც მიღებული დახმარებას გამოიყენებენ და გაკოტრებას მაინც ვერ გადაურჩებიან.

მაგრამ ბუშის და დემოკრატების არგუმენტი ისაა, რომ ამ ორი კომპანიის გაკოტრების შემთხვევაში, სამუშაოს მილიონზე მეტი ამერიკელი (არამარტო ამწყობ ქარხნებში დასაქმებულნი) დაკარგავს, რაც ქვეყანას იმაზე გაცილებით მეტი დაუფრთხილება, რასაც ის ამ კომპანიებს შესხვდა აძლებს.

თანაც, თუნდაც ერთი კომპანიის გაკოტრება მიმნოდებული კომპანიების დიდ ნაწილს გააპარტახებს, რაც უარყოფითად აისახება დანარჩენი ორი ავტომწარმოების და უცხოური კომპანიების ბიზნესზე და მათაც გაკოტრებამდე მიიყვანს. გამოდის, რომ სესხის არგაცემით, ბუში მილიონობით (დაახლოებით 4.5 მილიონ) ამერიკელს სამუშაოს გარეშე დატოვებდა.

ბუშის ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილი სესხის სარგებელი 5 პროცენტია, თუმცა ეს მაჩვენებელი 10 პროცენტამდე გაიზრდება, თუ სესხის მიმღები კომ

პანიები გაკოტრდებიან. გარდა ამისა, სესხის სანაცვლოდ, სახელმწიფო ავტოკომპანიების (ხმის უფლების არმქონე) აქციების თანამფლობელი (გაცემული თანხის პროპორციულად) ხდება. ამასთან, რომელიმე კომპანიის გაკოტრების შემთხვევაში, სახელმწიფოს გაცემული სესხი პირველ რიგში უბრუნდება და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება სხვა კრედიტორების დავალიანების გასტუმრებაზე ზრუნვა.

სხვათა შორის, ამერიკული კომპანიების კეთილდღეობაზე სხვა ქვეყნებში მომუშავე მიმწოდებელი კომპანიებიც არიან და მოკიდებული. მათ შორისაა მექსიკური კონგლომერატი ალფა, რომლის 9 ქარხანაც მხოლოდ ამერიკული ავტომწარმოებლების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მუშაობს. ანალოგიურ მდგომარეობაშია კანადური მაგნა ინტერნეიშნლი.

დაბოლოს, სანამ ბუში ამერიკული კომპანიებისთვის დახმარების შესახებ გამოაცხადებდა, ჯენერალ მოტორსმა თავისი მუზეუმის 250-ზე მეტი ექსპონატის გაყიდვა გადაწყვიტა. ბარეტ-ჯეკსონის აუქციონზე, რომელის მომავალი წლის დასაწყისში გაიმართება, ჯენერალ მოტორსი იმ ავტომობილებს გამოიტანს, რომლებმაც მის სტოკთან 3 მილიარდს ჯენერალ მოტორსი მიიღებს, ერთს კი - კრაისლერი. ფორდმა ჯერჯერობით, კანადური მთავრობისგან სესხის აღებისგან თავი შეიკავა.

რუსეთის სპირტის მწარმოებელ ქარხნებს ახალი წლიდან, ლიცენზიები ჩამოერთვას

რუსეთის ფედერაციის საბჭოს ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი გამოვიდა ინიციატივით, უარი ითქვას კანონპროექტზე, რომელიც სპირტის ქარხნების ნარჩენების გადაამუშავებელი დანადგარებით სავალდებულო აღჭურვას 2010 წლის 1-ლი იანვრისთვის გადადებს ითვალისწინებს. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული კანონპროექტი უარყოფილი იქნება, წერს ვახუთი "კომერსანტი", რუსეთის სპირტის მწარმოებელი ქარხნების 70 პროცენტი მომავალი ახალი წლიდან ლიცენზიის გარეშე დარჩება. რუსეთის ფედერაციის საბჭო ამ საკითხის კენჭის ყრაზე დაყენებას ორშაბათს, 22 დეკემბერს გეგმავს.

ლატვია ფინანსური დახმარების სახით 7.5 მილიარდ ევროს მიიღებს

ლატვიის მთავრობა ფინანსურ კრიზისთან საბრძოლველად სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან სოლიდურ ფინანსურ დახმარებას მიიღებს. კერძოდ, ევროკომისია ლატვიისთვის 3,1 მილიარდ ევროს გამოყოფას გეგმავს, საერთაშორისო სავალუტო ფონდი - 1,7 მილიარდ ევროს, შვედეთი, დანია, ფინეთი და ნორვეგია ერთად - 1,8 მილიარდ ევროს, ხოლო მსოფლიო ბანკი - 0,4 მილიარდ ევროს გამოყოფას აპირებენ. გარდა ამისა, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი ჩებეთთან, პოლონეთთან და ესტონეთთან ერთად, ლატვიას 0,5 მილიარდი ევროთი დაეხმარებიან. აღნიშნულ ფინანსურ დახმარებას ლატვია ეტაპობრივად 2011 წლამდე მიიღებს. ამასთან ერთად, ფინანსების გამოყოფა იმ პირობით მოხდება, თუ ლატვიის მთავრობა შემოთავაზებული გონიერი ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამის გატარებას უზრუნველყოფს.

გერმანიის მთავრობა და გერმანიის კრედიტების რეკონსტრუქციის ბანკი საქართველოს ფინანსურ დახმარებას აღმოუჩენს

გერმანიის მთავრობა და KfW გერმანიის კრედიტების რეკონსტრუქციის ბანკი საქართველოს ფინანსურ დახმარებას აღმოუჩენს. შესაბამისი შეთანხმებას ხელი 19 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მოეწერა. "გერმანიის მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარება მიმართული იქნება ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე", - იუწყება სამინისტრო. 2008-2009 წელს გერმანია საქართველოს 45 მლნ ევროს დახმარებას აღმოუჩენს, რომელიც გამოყოფილი იქნება კრედიტის სახით, ასევე 6 მლნ ქვეყანას გრანტის სახით გადმოეცემა. KfW-თან ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად ბანკი საქართველოს 2 მლნ ევროს გამოყოფს ბათუმში კომუნიკაციის სისტემის რეაბილიტაციის მეორე ფაზის ღირებულების ჩასატარებლად. ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, ასევე ხელი შეთანხმებას დახმარების გამოყოფის 8 მლნ ევროს მოეწერა ქართულ-გერმანული თანამშრომლების პროექტების რეალიზაციისთვის და KfW-მა საქართველოს მთავრობას დირობით გადაადგილებულ პირთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით 6 მლნ ევრო გამოყოფს.

"Deutsche Bank" ნავთობის ფასის 30 დოლარამდე შემცირებას ვარაუდობს

ნავთობის ფასი მოთხოვნილების გლობალური შემცირების ფონზე შესაძლოა შემცირდეს 30 დოლარამდეც კი ბარელზე, ნათქვამია "Deutsche Bank"-ის პროგნოზში. მისი აზრით, 2009 წელს ნავთობზე მოთხოვნილება შემცირდება 1 მლნ ბარელით დღე-ღამეში ანუ 1,2%-ით მიმდინარე წლის ოდენობასთან შედარებით, მაგრამ რეალურად შესაძლოა იყოს ამ პროგნოზზე დაბალი ცოტნაბათის გამოქვეყნებული ოპეკის გეგმები 2009 წლის იანვრიდან ნავთობის მოპოვების 2,2 მლნ ბარელით დღე-ღამეში შემცირების შესახებ არასაკმარისია იმისათვის, რომ მოხდეს ფასის სტაბილიზირება 50 დოლარს ზევით ბარელზე, მიიჩნევენ "Deutsche Bank"-ის ექსპერტები. "Deutsche Bank"-ის პროგნოზს ეთანხმებიან სანავთობო ბაზრის ექსპერტთა უმეტესობა.



ანაბარი "ჩემი სეიფი"

- ▲ თანხის თავისუფლად განჯარგვის შესაძლებლობა
- ▲ მაღალი საპროცენტო სარგებელი

☎ 27 27 27 | 📠 * 27 27 | www.tbcbank.ge

 **თიბისი ბანკი**
T B C B A N K

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს